

შპს “ასპრია სიიდს ჯორჯია”

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020	2019	2018
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	847,720	789,713	277,124
არამატერიალური აქტივები		3,636	3,636	3,636
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,087,266	1,379,396	1,432,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,938,622	2,172,745	1,713,598
სასაქონლო მარაგები	6	423,687	576,349	397,323
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,332,482	9,632,361	4,376,126
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	259,005	46,680	102,305
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,015,173	10,255,390	4,875,754
სულ აქტივები		12,953,795	12,428,135	6,589,352
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		40,595	-	94,925
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		11,788	7,555	2,085
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,071,420	3,104,838	2,304,478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,123,804	3,112,392	2,401,488
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	10	4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ ვალდებულებები		6,802,815	8,180,365	6,400,560
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		6,150,880	4,247,671	188,692
სულ საკუთარი კაპიტალი		6,150,980	4,247,771	188,792
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,953,795	12,428,135	6,589,352

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს

დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	11	2,614,627	5,055,458
ამონაგების თვითღირებულება	12	(637,729)	(3,855,040)
საერთო მოგება		1,976,899	1,200,418
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(585,222)	(682,936)
ფინანსური ხარჯი	14	(144,042)	(100,753)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	15	655,576	3,642,249
მოგება დაბეგვრამდე		1,903,210	4,058,978
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,903,210	4,058,978

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	100	188,692	188,792
პერიოდის მოგება		4,058,978	4,058,978
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2019	100	4,247,671	4,247,771
პერიოდის მოგება		1,903,210	1,903,210
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2020	100	6,150,880	6,150,980

შპს "ასპრია სიიდს ჯორჯია"

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ასპრია სიიდს ჯორჯია" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 02/09/2010). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ამბროლაურის ქ., № 166, კორპ. № 6, ბ. №7ა. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სიმინდი, მზესუმზირა და სხვა) წარმოება და საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით და თესვებით. კომპანიის დირექტორი: ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი, 12CK23180, 18FV00432 /საფრანგეთი/, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის 100% წილის მფლობელს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095
100 რუსული რუბლი / ლარი	4.4031	4.6423

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია შესადარისი პერიოდების 2018 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული	წინა წლების მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	2019 ლარი	2019 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	5,055,458	3,818,517	8,873,975
ადმინისტრაციული ხარჯები	(682,936)	(93,975)	(776,911)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	3,642,249	(3,642,249)	-
წმინდა მოგება/ზარალი	4,058,978	82,293	4,141,271

	კორექტირებული		წინა წლების მონაცემების კორექტირება		თავდაპირველი წარდგენა	
	2019	2018	2019	2018	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები						
ძირითადი საშუალებები	789,713	277,124	1,353,602	1,400,918	2,143,315	1,678,042
არამატერიალური აქტივები	3,636	3,636	(3,636)	(3,636)	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,379,396	1,432,839	(1,379,396)	(1,432,839)	-	-
სასაქონლო მარაგები	576,349	397,323	(1)	(1)	576,348	397,322
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,632,361	4,376,126	(101,522)	112,081	9,530,839	4,488,207
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46,680	102,305	(8,169)	2,358	38,511	104,663
ვალდებულებები						
საგადასახადო ვალდებულებები	-	94,925	-	(94,925)	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7,555	2,085	20,173	19,273	27,728	21,358
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,104,838	2,304,478	(103,039)	161,267	3,001,799	2,465,745
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5,067,972	3,999,072	50,243	52,037	5,118,215	4,051,109
საკუთარი კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი	100	100	(100)	(100)	-	-
გაუნაწილებელი მოგება	4,247,671	188,692	(106,400)	(58,670)	4,141,271	130,022

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი		სულ
	ლარი		ლარი
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 01.01.2019		440,898	440,898
შემოსვლა 2019		688,742	688,742
ბალანსი 31.12.2019		1,129,640	1,129,640
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება			
ბალანსი 01.01.2019		(163,774)	(163,774)
ცვეთა პერიოდისათვის 2019		(176,152)	(176,152)
ბალანსი 31.12.2019		(339,927)	(339,927)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 31.12.2019		789,713	789,713
შემოსვლა 2020		266,457	266,457
გასვლა 2020		(196)	(196)
ცვეთა პერიოდისათვის 2020		(208,254)	(208,254)
ბალანსი 31.12.2020		847,720	847,720

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
მიწის ნაკვეთები	214,476	451,389	451,389
დაუმთავრებელი მშენებლობა	18,647	23,309	29,137
შენობები	854,143	904,697	952,313
სულ	1,087,266	1,379,396	1,432,839

6. სასაქონლო მარაგები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	343,585	555,564	397,323
ნედლეული	56,052		
სხვა დამხმარე მასალები	24,050	20,785	
სულ	423,687	576,349	397,323

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	9,970,445	9,282,462	4,262,618
გადახდილი ავანსები	362,037	349,900	113,507
სულ	10,332,482	9,632,361	4,376,126

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	148,511	46,318	102,200
ფული საბანკო ანგარიშებზე	110,494	362	105
სულ	259,005	46,680	102,305

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულებები	38,950	40,375	-
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,973,362	1,514,098	981,844
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	59,108	1,550,365	1,322,634
სულ	2,071,420	3,104,838	2,304,478

10. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
იურიდიული პირებიდან აღებული სესხები	3,402,175	3,944,071	3,944,071
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	55,001	55,001	55,001
ბანკებიდან აღებული სესხები	1,221,834	1,068,900	
სულ	4,679,011	5,067,972	3,999,072

11. ამონაგები

	2020	2019
	ლარი	ლარი
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	298,789	159,339
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	10,424	31,638
ამონაგები ექსპორტიდან	2,305,415	4,864,480
სულ	2,614,627	5,055,458

12. ამონაგების თვითღირებულება

	2020	2019
	ლარი	ლარი
გაყიდული საქონელი	(637,729)	(3,855,040)
სულ	(637,729)	(3,855,040)

13. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(108,719)	(122,181)
ცვეთა და ამორტიზაცია	(257,871)	(229,595)
იჯარის ხარჯი	(65,032)	(100,636)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(153,601)	(230,524)
სულ	(585,222)	(682,936)

14. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
	ლარი	ლარი
საპროცენტო ხარჯები სესხზე	(144,042)	(100,753)
სულ	(144,042)	(100,753)

15. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	-	(2,104)
სავალუტო ოპერაციებიდან		
რეალიზებული უძრავი ქონების ღირებულება	(859,287)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	1,514,863	3,644,353
სულ	655,576	3,642,249

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (07.09.2021)

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 07 სექტემბერს.

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს

დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020	2019	2018
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	847,720	789,713	277,124
არამატერიალური აქტივები		3,636	3,636	3,636
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,087,266	1,379,396	1,432,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,938,622	2,172,745	1,713,598
სასაქონლო მარაგები	6	423,687	576,349	397,323
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,332,482	9,632,361	4,376,126
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	259,005	46,680	102,305
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,015,173	10,255,390	4,875,754
სულ აქტივები		12,953,795	12,428,135	6,589,352
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		40,595	-	94,925
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		11,788	7,555	2,085
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,071,420	3,104,838	2,304,478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,123,804	3,112,392	2,401,488
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	10	4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ ვალდებულებები		6,802,815	8,180,365	6,400,560
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		6,150,880	4,247,671	188,692
სულ საკუთარი კაპიტალი		6,150,980	4,247,771	188,792
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,953,795	12,428,135	6,589,352

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს

დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი



შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	11	2,614,627	5,055,458
ამონაგების თვითღირებულება	12	(637,729)	(3,855,040)
საერთო მოგება		1,976,899	1,200,418
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(585,222)	(682,936)
ფინანსური ხარჯი	14	(144,042)	(100,753)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	15	655,576	3,642,249
მოგება დაბეგვრამდე		1,903,210	4,058,978
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,903,210	4,058,978

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს

დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი




შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	100	188,692	188,792
პერიოდის მოგება		4,058,978	4,058,978
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2019	100	4,247,671	4,247,771
პერიოდის მოგება		1,903,210	1,903,210
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2020	100	6,150,880	6,150,980

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს

დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი



16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (07.09.2021)

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 07 სექტემბერს.

შპს „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს
დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი